სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2022 წლის 20 ივლისის N 1-1/7 ბრძანებით დამტკიცებული ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი №ბ-5/23

ქ. თბილისი 9 მარტი 2023 წ.
დრო: 11:10 სთ.

საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ წიკლაური

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი მარიამ ნაროზაული

საბჭოს წევრები: კახაბერ ნიაური, თამაზ ლომჯარია, ანი მამულაშვილი, არჩილ მაღალაშვილი, პავლე მაისურაძე.

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორია

1. **მრავალფუნქციური კომპლექსი,** (განმცხადებელი გიორგი ჭკუასელი; რეგისტრაციის თარიღი: 2 მარტი 2023, ნომერი: 164/09); საკადასტრო კოდი: № 26.01.45.786; მიწის ნაკვეთის ფართობი: 8690 კვ.მ; მიწის ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო; ფუნქციური ზონა: საკურორტო ზონა 1 (შზ-6); განსაზღვრული პარამეტრები: კ1-0.3; კ2-1.2; კ3-0.4; მაქსიმალური სიმაღლე: 10 მეტრი. მოთხოვნა - განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების და დავალების გაცემის შესაძლებლობა.

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორია

განიხილეს:

1. **მრავალფუნქციური კომპლექსი,** (განმცხადებელი გიორგი ჭკუასელი; რეგისტრაციის თარიღი: 2 მარტი 2023, ნომერი: 164/09); საკადასტრო კოდი: № 26.01.45.786; მიწის ნაკვეთის ფართობი: 8690 კვ.მ; მიწის ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო; ფუნქციური ზონა: საკურორტო ზონა 1 (შზ-6); განსაზღვრული პარამეტრები: კ1-0.3; კ2-1.2; კ3-0.4; მაქსიმალური სიმაღლე: 10 მეტრი. მოთხოვნა - განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების და დავალების გაცემის შესაძლებლობა.

აზრი გამოთქვეს:

1. **მისაღებია** - მოთხოვნილი მონაცემები იწვევს გენგეგმაში ცვლილებას რაც აუცილებელია გათვალისწინებული იქნას;

2. **არ არის მისაღები** - ურეკი-შეკვეთილის გენგეგმის რეგლამენტის თანახმად (შზ-6)-ში განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 10 მეტრით და სიმაღლის გადამეტება არ არის დასაშვები. წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით განვითარება საჭიროებს ზონის ცვლილებას (შზ-6) დან (შზ-7) ზე, რაც იწვევს განაშენიანების გეგმის და გენგეგმის ცვლილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე საჭიროა წარმოდგენილი იქნას დასაბუთება განაშენიანების გეგმასა და გენგეგმაში ზონის ცვლილების ინიცირებაზე.
3. **არ არის მისაღები** -გენგეგმის რეგლამენტით (შზ-6)-ში განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლეა 10 მეტრი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით განვითარება საჭიროებს ზონის ცვლილებას (შზ-6)-დან (შზ-7)-ზე, ეს გამოიწვევს განაშენიანების გეგმის და გენგეგმის ცვლილებას. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილი იქნას დასაბუთება განაშენიანების გეგმასა და გენგეგმაში ზონის ცვლილების ინიცირებაზე.
4. **მისაღებია** - სიმაღლის პარამეტრის მატება შზ-6 ში იწვევს რეგლამენტში ცვლილებას. შესაბამისად აუცილებელია გენგეგმის დოკუმენტის კორექტირებაც. შესაბამისად, რადგან გენგეგმაში უნდა შევიდეს ცვლილება, დასაბუთების საფუძველზე შესაძლებელია ზონის ცვლილებაზეც მსჯელობა, შესაბამისი პროცედურების დაცვით;
5. **მისაღებია;**
6. **მისაღებია;**

მიეცეს თანხმობა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №26.01.45.786) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირება და დავალების გაცემა ფუნქციური ზონის ცვლილების შესაძლებლობით.

რეკომენდაცია: ფუნქციური ზონის - საკურორტო ზონა 1 (შზ-6)-ის საკურორტო ზონა 2 (შზ-7)-ად ცვლილებისათვის, ინიცირების პროცედურა უნდა დაიწყოს ურეკი-შეკვეთილის გენგემაშიც;

განხილვის შედეგი: მომხრე 4, უარი ეთქვას 2.

საბჭოს თავმჯდომარე Zurab Tsiklauri 01020005520 Digitally signed by Zurab Tsiklauri Date: 2023.03.21 10:31:35 **ზურაბ წიკლაური**

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი Mariam Narozauli 01001094060 Digitally signed by Mariam Narozauli Date: 2023.03.21 10:52:30 **მარიამ ნაროზაული**